



**სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის
2021 წლის საქმიანობის ანგარიში**



სარჩევი

ზოგადი განათლების მიმართულება.....	4
სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირება.....	4
ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების უფლების მქონე პირების მონაცემთა ელექტრონული ბაზის ფორმირება და საბაზო/სრული ზოგადი განათლების ატესტატების/ატესტატების დუბლიკატების გაცემა	5
სახელობო განათლების სერტიფიკატებისა და საშუალო პროფესიული დიპლომის დუბლიკატების გაცემა	6
წარჩინებულ მოსწავლეთათვის გადასაცემი ოქროსა და ვერცხლის მედალოსნის სერტიფიკატების ბეჭდვა	7
პირველკლასელთა რეგისტრაციის უზრუნველყოფა	7
ექსტერნატის გამოცდების უზრუნველყოფა	8
მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებული პროცესების უზრუნველყოფა	8
მშობლის მიერ მოსწავლის დისტანციურ სწავლებაზე გადაყვანის უზრუნველყოფა.....	9
მასწავლებლებისათვის ონლაინ ჯგუფებში ჩატარებული გაკვეთილების ანაზღაურება	9
მოსწავლეებისათვის შეღავათიანი ინტერნეტპაკეტების შეთავაზება ..	10
ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.....	10
ელექტრონული ჟურნალი	11
ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის პროგრამა.....	11
grammar.emis.ge.....	11
ქართული ენის გრამატიკის ელექტრონული რესურსი	11
school.emis.ge	12
ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი	12



estories.emis.ge.....	12
E-სტორიები - ჩეთბოტების პლატფორმა ისტორიისთვის	12
პროფესიული განათლების მიმართულება	13
პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.....	13
E-VET.EMIS.GE	13
აპლიკანტთა ონლაინ რეგისტრაციის სისტემა.....	14
VET.EMIS.GE	14
პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების ელექტრონული სისტემა.....	15
TVET.EMIS.GE.....	15
ხარისხის მართვის ელექტრონული სისტემა	15
QMS	15
უმაღლესი განათლების მიმართულება	16
უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრირება	16
სტუდენტთა მობილობა	17
ციფრული არქივი	17
ელექტრონული ანკეტა-კითხვარი	18
მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადება და დაფინანსება	18
უმაღლესი განათლების დაფინანსების ადმინისტრირება	19
სტატისტიკის მიმართულება.....	21
ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოების მიმართულება	21
კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების მიმართულება	25
სხვადასხვა სამუშაო პროცესები	27



ზოგადი განათლების მიმართულება

სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესის გამოცხადებისთანავე, განხორციელდა გრიფირების ელექტრონული სისტემის მოდიფიცირება მარეგულირებელ აქტებში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

პოტენციურ განმცხადებლებთან (ავტორებთან) ჩატარდა სემინარი გრიფირების ელექტრონული სისტემის მოხმარების საკითხებზე, რის შედეგადაც გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირდა 53 განაცხადი სახელმძღვანელოებისათვის გრიფის მინიჭების მოთხოვნის შესახებ. სახელმძღვანელოების რეცენზირების პროცესის უზრუნველყოფისათვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მოწოდებული დამტკიცებული სიის შესაბამისად, გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები 141 რეცენზენტთან. რეცენზენტებს ჩაუტარდათ შესაბამისი ტრენინგი რეცენზირების წესსა და გრიფირების ელექტრონული სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მათ მიერ განსახორციელებელ ყველა ქმედებასთან დაკავშირებით, შეიქმნა შესაბამისი ინსტრუქციები.

განმცხადებლების (ავტორების) გრიფირების პროცესში მაქსიმალური ჩართვისა და კომუნიკაციის გამართივების მიზნით, გამოიყო სპეციალური ცხელი ხაზის ნომერი. ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისა და გამოცხადებული პანდემიის გამო, რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფების შეხვედრები (სახელმძღვანელოების განხილვა) წარიმართა ონლაინ რეჟიმში, რისთვისაც რეცენზენტებს Microsoft Teams-ში შეექმნათ მომხმარებლები (User) და ჩაუტარდათ ტრენინგი Microsoft Teams-ის გამოყენებასთან დაკავშირებით, შეიქმნა სატესტო ჯგუფები, ასევე - შესაბამისი ვირტუალური სამუშაო ჯგუფები. უზრუნველყოფილ იქნა რეცენზირების მეორე ეტაპზე გადასული განმცხადებლებისა და სახელმძღვანელოს ავტორების/გამომცემლობების ონლაინ შეხვედრები Microsoft Teams-ის მეშვეობით, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა სახელმძღვანელოების დახვეწა/გაუმჯობესებაზე. სახელმძღვანელოებისათვის გრიფის მინიჭების მიზნით, საქართველოს



განათლების და მეცნიერების სამინისტროს წარედგინა ის 34 განაცხადი, რომელთაც წარმატებით გადალახეს გრიფირების პროცესის ყველა ეტაპი. მათთვის გრიფის მინიჭების შემდგომ კი, შემოწმდა სახელმძღვანელოების დიზაინი და განმცხადებლებს (ავტორებს) მიეცათ სავალდებულო მითითებები დიზაინის გამოსწორების მიზნით. გრიფირებული სახელმძღვანელოები, განმცხადებლების (ავტორების) მიერ მოწოდებული ფორმატის შესაბამისად, ასარჩევად წარედგინათ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, ხოლო შერჩევის პროცესის დასრულების შემდგომ, შედეგები, მათი ბეჭდვის მიზნებისათვის, გადაეგზავნა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს. სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა აქტიურად იყო ჩართული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებისას პროცესის მარეგულირებელი შესაბამისი აქტების შემუშავებასა და დახვეწაში.

ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების უფლების მქონე პირების მონაცემთა ელექტრონული ბაზის ფორმირება და საბაზო/სრული ზოგადი განათლების ატესტატების/ატესტატების დუბლიკატების გაცემა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების 2020-2021 სასწავლო წლის საბაზო და სრულის ზოგადი განათლების კურსდამთავრებულთათვის საბაზო ან/და სრული ზოგადი განათლების - ატესტატების გაცემის მიზნით, შესაბამისი დაწესებულებებიდან გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია, რომელიც დამუშავდა და აისახა ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების მიღების უფლების მქონე პირების მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში, კერძოდ სრული ზოგადი განათლების ატესტატის უფლებამოპოვებული 40 052 მოსწავლე და საბაზო ზოგადი განათლების ატესტატის უფლებამოპოვებული 44 789 მოსწავლე.

რანჟირების დოკუმენტის დამტკიცების მიზნით, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს, ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების მიღების უფლების მქონე პირების მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული მონაცემების საფუძველზე, მიეწოდა ინფორმაცია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე რეგისტრირებული იმ აბიტურიენტების შესახებ, რომელთაც მოპოვებული აქვთ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მიღების უფლება.



სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაეცა საბაზო და სრული ზოგადი განათლების ატესტაციების ბლანკები. ამასთან, მთელი წლის მანძილზე, იმ პირებთან დაკავშირებით, რომელთაც ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა დაასრულეს 2011 წლამდე და საბაზო ან/და სრული ზოგადი განათლების ატესტაციის დუბლიკატის მოთხოვნით მიმართეს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ჩატარდა შესაბამისი წარმოება ჯამში 2 456 განაცხადთან დაკავშირებით და განხორციელდა შესაბამისი რეაგირება.

გაგრძელდა საბაზო და/ან სრული ზოგადი განათლების ატესტაციის ელექტრონული ასლის გაცემის პროცესიც, ატესტაციის ელექტრონული ასლი არის ორიგინალი დოკუმენტის ასლი, რომელიც ორიგინალის თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ელექტრონული დოკუმენტია. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დასახელების შეცვლასთან დაკავშირებით, შემუშავდა საბაზო და სრული ზოგადი განათლების ატესტაციის ფორმები, რომლებმაც გაიარეს ენობრივი სისწორის შემოწმება, მიენიჭათ შესაბამისი სარეგისტრაციო ნომრები, დამტკიცებული იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით, დაიბეჭდა და მიეწოდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს.

სახელობო განათლების სერტიფიკატებისა და საშუალო პროფესიული დიპლომის დუბლიკატების გაცემა

მთელი წლის განმავლობაში, იმ დაინტერესებული პირების განაცხადების საფუძველზე, რომელთაც 2009-2010 სასწავლო წლის ჩათვლით დაასრულეს დაწყებითი პროფესიული, ხოლო 2009-2010 სასწავლო წლის დაწყებამდე საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, თუმცა დაუზიანდათ ან დაეკარგათ შესაბამისი დიპლომი, ჩატარდა შესაბამისი წარმოება და გაიცა სახელობო განათლების სერტიფიკატისა ან საშუალო პროფესიული განათლების დიპლომის დუბლიკატები. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, განაცხადების მიღება წარმოებს ელექტრონულად, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე info@emis.ge. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დასახელების შეცვლასთან დაკავშირებით, შემუშავდა სახელობო განათლების სერტიფიკატისა და საშუალო პროფესიული დიპლომის დუბლიკატის ფორმები, რომლებმაც გაიარეს ენობრივი სისწორის



შემოწმება, მიენიჭათ შესაბამისი სარეგისტრაციო ნომრები და დამტკიცებული იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით.

წარჩინებულ მოსწავლეთათვის გადასაცემი ოქროსა და ვერცხლის მედალოსნის სერტიფიკატების ბეჭდვა

2020-2021 სასწავლო წლის წარჩინებულ კურსდამთავრებულთა წახალისებისა და მათთვის ოქროსა ან ვერცხლის მედალოსნის სერტიფიკატების გადაცემის მიზნით, შემუშავებული იქნა სერტიფიკატების ფორმები, რომლებიც დასამტკიცებლად წარედგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. ამასთან, მედალოსანი კურსდამთავრებულების გამოვლენის მიზნით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებსა და საგანმანათლებლო რესურსცენტრებს მიეცათ შესაბამისი წვდომა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. გასაცემი სერტიფიკატები, ჯამში 4 974 იბეჭდება და 2021 წლის მიწურულს გადაეცემა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს.

პირველკლასელთა რეგისტრაციის უზრუნველყოფა

საჯარო სკოლებში პირველკლასელთა რეგისტრაციის მიზნებისათვის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეცათ შესაძლებლობა გამოეცხადებინათ მისაღები პირველკლასელი მოსწავლეების, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის განკუთვნილი მინიმალური ლიმიტები. ამასთან, წელს პირველად იმ საჯარო სკოლების ადმინისტრაციებს, რომელთაც აქვთ 2 და მეტი შენობა, მიეცათ შესაძლებლობა, პირველკლასელთა მიღება გამოეცხადებინათ ლიმიტირებულად სკოლის შენობების მიხედვით, შესაბამისად დაინტერესებულ პირებს პირველკლასელთა რეგისტრაციის დროს თავად შეეძლოთ აერჩიათ სკოლის შენობა, სადაც სურდათ ბავშვის რეგისტრაცია. პირველკლასელთა რეგისტრაცია წარიმართა 4 ეტაპად. პირველ ეტაპზე დარეგისტრირდნენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები - ჯამში 515 მოსწავლე, მეორე ეტაპზე - პირები, რომელთა დაძმა სწავლობდა სასურველ სკოლაში ან რომელთა მშობლები იყვნენ კონკრეტული სკოლის თანამშრომლები, ასევე ის პირები, რომელთა ოჯახიდან ერთდროულად ორი ან მეტი ბავშვი შედიოდა პირველ კლასში, ჯამში 21422 მოსწავლე, მესამე, საყოველთაო რეგისტრაციაზე დარეგისტრირდა ჯამში 26318 მოსწავლე, ხოლო მეოთხე ეტაპზე,



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში გამოთავისუფლებულ ადგილებზე დარეგისტრირდა ჯამში 2889 მოსწავლე.

ექსტერნატის გამოცდების უზრუნველყოფა

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო მე-12 კლასში შემავალი საგნების - ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, ინგლისური ენა, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება - ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდების ცენტრალიზებული ჩატარება ელექტრონული ფორმით, რისთვისაც საგამოცდო ცენტრებად წინასწარ შეარჩია სკოლები, აღნიშნულ სკოლებში გამართა ინტერნეტის ქსელი, მუდლის სისტემაში დაარეგისტრირა ექსტერნები და მომხმარებლების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრებს. ასევე, განახორციელა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტიდან მოწოდებული ტესტების მუდლის სისტემაში ასახვა, ექსტერნატის გამოცდების დასრულების შემდგომ კი, შედეგები, საგანმანათლებლო რესურსცენტრებისათვის გაცნობისა და შემდგომი რეაგირების მიზნით, წარუდგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. აღნიშნულ გამოცდებზე დარეგისტრირდა ჯამში 1 122 მოსწავლე.

მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებული პროცესების უზრუნველყოფა

მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო სქემაში ჩართული მასწავლებლებისათვის მინიჭებული სტატუსების ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვა, ასევე - მათი პროფესიული საქალაქდების ადმინისტრირება, აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტების გამოქვეყნების, სტატუსის მინიჭების შესახებ წინადადების წარდგენისა და უფროსის სტატუსის მქონე მასწავლებლების გარე დაკვირვებაზე რეგისტრაციისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება, მასწავლებლებისათვის ჩატარებული საგნის გამოცდის შედეგების ასახვა. სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მაძიებელი მასწავლებლების ფუნქციონალის ადმინისტრირება (მაძიებელი მასწავლებლების პროფილი, პროფესიული საქალაქდე,



შეფასების დაგროვების გეგმა, მაძიებელი მასწავლებლების შეფასებისა და წინადადების წარდგენის შესაძლებლობა), ასევე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გადმოგზავნილი შედეგების საფუძველზე, მაძიებელი მასწავლებლების აკადემიური კურსის შეფასებასა და მათთვის შესაბამისი სტატუსების ასახვასთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიებები.

მშობლის მიერ მოსწავლის დისტანციურ სწავლებაზე გადაყვანის უზრუნველყოფა

ქვეყანაში გავრცელებული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად, 2020-2021 სასწავლო წლის მეორე სემესტრში შესაბამის ქალაქებსა და 2021-2022 სასწავლო წლის პირველ სემესტრში მთელი საქართველოს მასშტაბით, საჯარო სკოლის მოსწავლეების მშობლებს მიეცათ შესაძლებლობა მოსწავლეები დაერეგისტრირებინათ დისტანციურ სწავლებაზე. რეგისტრაცია/რეგისტრაციის გაუქმება ხორციელდება კვირაში ერთხელ, დაერეგისტრირებული მოსწავლეები არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში ერთვებიან ონლაინ ჯგუფებში. 2020-2021 სასწავლო წლის მეორე სემესტრში აღნიშნული მომსახურებით ისარგებლა ჯამში 47423 მოსწავლემ, ხოლო 2021-2022 სასწავლო წლის პირველ სემესტრში 63 457-მა მოსწავლემ.

მასწავლებლებისათვის ონლაინ ჯგუფებში ჩატარებული გაკვეთილების ანაზღაურება

მშობლის სურვილის შემთხვევაში მოსწავლის დისტანციურ სწავლებაზე რეგისტრაციის შემთხვევაში, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფს სკოლის მიერ შექმნილ ონლაინ ჯგუფებში ფაქტობრივად ჩატარებული გაკვეთილების დათვლას და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის მიწოდებას, მასწავლებლებისათვის შესაბამისი დანამატის გადარიცხვის მიზნით. აღნიშნული ინფორმაცია სკოლების ადმინისტრაციების ინფორმირების მიზნით, მიეწოდება საგანმანათლებლო რესურსცენტრებსაც.



მოსწავლეებისათვის შეღავათიანი ინტერნეტპაკეტების შეთავაზება

ყველა მოსწავლესა და მასწავლებელს, რომელიც ფიქსირდება ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს შეღავათიანი ინტერნეტპაკეტით, რაც ხელს უწყობს მათ საჭიროების შემთხვევაში, შეუფერხებლად ჩაერთოს დისტანციურ საგაკვეთილო პროცესში. აღნიშნული მომსახურებით საერთო ჯამში ისარგებლა 16063-მა მასწავლებელმა და 21863-მა მოსწავლემ.

ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შესაბამისი გამართული მოდულის ჩაშენება, რომელიც საშუალებას მისცემს სისტემაში ჩართულ შესაბამის პირებს მარტივი გზით მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების შესახებ, ასევე - მათთვის საჭირო გასაწევი მომსახურებისა და მათი შესრულების შესახებ. სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით, შემუშავდა სქემაში ჩართული სპეციალური მასწავლებლებისათვის განკუთვნილი პორტფოლიო, რომელიც ხელს შეუწყობს სპეციალურ მასწავლებელს კარიერულ წინსვლაში.

დასწრებული, სრულად ელექტრონული და ჰიბრიდული სწავლების განხორციელების მიზნით, ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დაკორექტირდა სკოლების მიერ საგაკვეთილო განრიგის შექმნისა და რედაქტირების ფუნქციონალი. აღნიშნულთან დაკავშირებით საგანმანათლებლო რესურსცენტრებსა და სკოლის წარმომადგენლებთან გაიმართა ვებინარი, ასევე შემუშავდა და დაინტერესებულ პირებს გადაეგზავნათ ინსტრუქციები.

ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შემუშავდა არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შესაბამისი ფუნქციონალი, რომელმაც შესაძლებლობა მისცა სკოლებს აღრიცხონ მოსწავლეების სტატუსები, გადაანაწილონ შესაბამის პროგრამულ ჯგუფებში და შეუქმნან შესაბამისი საგაკვეთილო განრიგი.



ელექტრონული ჟურნალი

ელექტრონული ჟურნალის გამართული ფუნქციონირებისა და სკოლის ადმინისტრაციებისა და მასწავლებლების ინტერესების გათვალისწინების მიზნით, გაიმართა ონლაინ შეხვედრები, რის საფუძველზეც ერთობლივად შემუშავდა ელექტრონული ჟურნალის წარმოების წესის პროექტი და იდენტიფიცირებული იქნა განსახორციელებელი ცვლილებები. აღნიშნული პროექტის შესაბამისად შემუშავდა ტექნიკური დავალება და გამოცხადდა ტენდერი. ახალი ფუნქციონალი ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული წესის შესაბამისად სემესტრული, წლიური და საფეხურეობრივი შეფასებების გამოთვლის პრინციპებს, გამოცდების მოდულს, გაცდენების პროცენტული მაჩვენებლის დათვლას, სპეციალური მასწავლებლის მიერ განსახორციელებელ პროცესებს, დამრიგებლის ფუნქციებს. 2021 წელს ელექტრონული ჟურნალი დაინერგა ყველა საჯარო სკოლაში. ფუნქციონალის მოხმარებასთან დაკავშირებით ჩატარდა ვებინარები, რომლებსაც დაესწრო 2000-მდე მასწავლებელი.

მომდევნო სასწავლო წლისთვის, დაგეგმილია ფუნქციონალის გავნითარება მასწავლებლებისა და მოსწავლეების საჭიროებაზე უკეთ მორგების მიზნით.

ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის პროგრამა

grammar.emis.ge

ქართული ენის გრამატიკის ელექტრონული რესურსი

პლატფორმა მოიცავს ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო საფეხურის ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეტანილ გრამატიკასთან დაკავშირებულ მასალას. ვებსაიტზე განთავსებულია თეორიული განმარტებები ყველა მეტყველების ნაწილისა და ძირითადი გრამატიკული საკითხების შესახებ; 2021 წელს განთავსებულია 100-მდე ვიდეო, რომელიც გრამატიკულ პროცესებს ხსნის, ასევე ინტერაქციული სავარჯიშოები და ჩეთბოტი.

ელექტრონული რესურსი განკუთვნილია საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის, თუმცა მისი მომხმარებელი შეიძლება გახდეს როგორც, აბიტურიენტი, ისე გრამატიკით დაინტერესებული ნებისმიერი ადამიანი. ვებსაიტის მოხმარება შესაძლებელია როგორც საკლასო ოთახში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, ინდივიდუალურად, ნებისმიერი ლოკაციიდან.



school.emis.ge

ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი

School.emis.ge მოიცავს ბუნებისმეტყველების, ხელოვნების, მუსიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების ელექტრონულ რესურსებს. პლატფორმის პირველი ვერსია შეიქმნა 2019-2020 წლებში. პლატფორმას თვეში საშუალოდ 20 000-მდე აქტიური მომხმარებელი ჰყავს. რესურსი მოიცავს სხვადასხვა საგნის ჩეთბოტებს, სავარჯიშოებს, განმარტებებს, ინტერაქციულ თამაშებსა და კომპლექსურ დავალებებს.

2021 წელს განახლდა კომპიუტერული ტექნოლოგიების ელექტრონული რესურსი, რომელიც ფარავს მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 კლასების სასწავლო პროგრამას. კომპიუტერული ტექნოლოგიების რესურსები შექმნილია შესაბამისი საგნის განახლებული სტანდარტის მიხედვით. პირველი ვერსიის გაშვების შემდეგ, დამუშავდა უკუკავშირი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისგან, შეიცვალა შინაარსობრივი ელემენტები იმისთვის, რომ რესურსი მომხმარებლისთვის კიდევ უფრო მოსახერხებელი ყოფილიყო. გადაკეთდა ბოგიერთი კომპლექსური დავალება, თამაშის პირობა, განმარტება და შუალედური დავალება, დაბუსტდა ბოგიერთი ტერმინი.

estories.emis.ge

E-სტორიები - ჩეთბოტების პლატფორმა ისტორიისთვის

2021 წელს დაიწყო ჩეთბოტების პლატფორმის შექმნა, რომლებიც ისტორიის სასკოლო საგანთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბრობენ. რესურსი საცდელ ეტაპზეა, მოიცავს მხოლოდ ქართლისა და იმერეთის ჩეთბოტებს.



პროფესიული განათლების მიმართულება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ დანერგვისა და პროცესების ადმინისტრირების მიზნით, წარიმართა შესაბამისი სამუშაოები პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასა (E-vet.emis.ge) და სარეგისტრაციო სისტემაში (vet.emis.ge), როგორც აპლიკანტთა პირველადი ჩარიცხვის, ასევე დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით.

პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა E-VET.EMIS.GE

- Evet.emis.ge-ში ჩაშენდა ელექტრონული ანკეტა კითხვარის შევსებისა და მიღების გამოცხადების ფუნქციონალი, რომლის მეშვეობითაც 2021 წელს პროფესიული ტესტირების გზით აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით, მიღება გამოაცხადა 71-მა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, 631 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ხოლო გამოცხადებული თავისუფალი ადგილების რაოდენობა შეადგენდა - 15 191 ადგილს.
- 2021 წელს, შესაბამის კვარტლებში განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ვაუჩერული/მოდულის ვაუჩერული დაფინანსების გაანგარიშება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ვაუჩერული/მოდულის ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში გადარიცხული თანხის კორექტირების უზრუნველსაყოფად, სისტემა მოვიდა შესაბამისობაში საქართველოს მთავრობის №244 (19.09.13წ) დადგენილებაში შეტანილ ცვლილებებთან. 2021 წლის მე-2 კვარტალში, განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ვაუჩერული/მოდულის ვაუჩერული დაფინანსების გაანგარიშება და 2020 წლის მე-3 და მე-4 და 2021 წლის პირველ კვარტალში გადარიცხული თანხის კორექტირება. 2021 წელს, სისტემის მიერ გაანგარიშებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ვაუჩერული/მოდულის ვაუჩერული დაფინანსების ოდენობა შეადგენს - 38 801 956 ლარს.



აპლიკანტთა ონლაინ რეგისტრაციის სისტემა

VET.EMIS.GE

- პლატფორმის მეშვეობით აპლიკანტთა ონლაინ რეგისტრაცია და მინისტრის ბრძანებით დადგენილ ვადებში, რეგისტრაცია გაიარა 18 784 აპლიკანტმა.
- 2021 წლის მიღების ფარგლებში, სოფლის მეურნეობის მიმართულების პროგრამებისთვის, შერჩევის მეთოდად განისაზღვრა „პრაქტიკული სამუშაო შემთხვევების ანალიზი“. მართვის სისტემამ აღნიშნული მეთოდით შერჩევის ჩატარება უზრუნველყო ონლაინ ტესტირების სისტემის testing.emis.ge -ის გამოყენებით.
- შერჩევის ერთ-ერთ მეთოდად განსაზღვრული იყო ასევე, მოტივაციური გასაუბრება. სარეგისტრაციო სისტემაში (vet.emis.ge) შეიქმნა ახალი ფუნქციონალი, რომლითაც უზრუნველყოფილი იყო მოტივაციური გასაუბრების კომისიის წევრების განაწლება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. აპლიკანტთა შეფასება ხორციელდებოდა ელექტონულად, შეფასების დღეს აღნიშნული ფუნქციონალის გამოყენებით. ამ შერჩევის მეთოდისთვის დადგენილი კრიტერიუმებისა და კოეფიციენტების შესაბამისად, სისტემის მიერ განხორციელდა საბოლოო შედეგების ავტომატური გამოთვლა.
- შეიქმნა შეფასების /ტესტირების განრიგისა და შედეგების ასახვისთვის საჭირო შესაბამისი ფუნქციონალი. უზრუნველყოფილი იქნა, მიღებაზე შერჩევის მეთოდების, მინიმალური კომპეტენციის ზღვარისა და მაქსიმალური ქულის განსაზღვრისთვის საჭირო ფუნქციონალი E-vet -ში და განხორციელდა მისი Vet.emis.ge -ზე ინტეგრირება. ჩარიცხვის პროცედურების უზრუნველსაყოფად, წარმართა შესაბამისი სამუშაოები რეიტინგული სიებისა და საბოლოო შედეგების ფორმირებისთვის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული შერჩევის მეთოდისთვის დადგენილი კრიტერიუმებისა და კოეფიციენტების შესაბამისად. შედეგად, 2021 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხა 11 049 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის - 545 პროფესიული სტუდენტი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების სწავლის შედეგები, ხოლო 187 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი.



პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების ელექტრონული სისტემა

TVET.EMIS.GE

- 2021 წლის განმავლობაში, მიმდინარეობდა პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების ელექტრონული სისტემის ადმინისტრირება (tvvet.emis.ge), რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების მსურველი სუბიექტების რეგისტრაციის, უფლების მოპოვების/დადასტურების მიზნით განაცხადის წარდგენის, უფლების მინიჭება/დადასტურების, მიღების გამოცხადების, ელექტრონული რეგისტრაციისა (vet.emis.ge) და მსმენელის სტატუსის მინიჭების (ჩარიცხვა/სტატუსის შეწყვეტა/კურსდამთავრებულად ასახვა) სრული პროცესის ელექტრონულ ფორმატში წარმართვის შესაძლებლობას.
- 2021 წელს, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლება მიენიჭა 21 იურიდიულ პირს (4 - არასაგანმანათლებლო, 17 საგანმანათლებლო), ხოლო მიმდინარე პერიოდში დამტკიცდა 111 პროგრამა. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების რაოდენობა ჯამში შეადგენს - 328, ხოლო პროგრამის განმახორციელებელი იურიდიული პირების რაოდენობა - 73 (მათ შორის 17 არასაგანმანათლებლო და 56 საგანმანათლებლო); 2021 წელს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე ჩაირიცხა 3 468 მსმენელი.

ხარისხის მართვის ელექტრონული სისტემა

QMS

- ელექტრონული სისტემის მეშვეობით (E-vet, QMS) არაფორმალური განათლების აღიარების უფლება მიენიჭა ორ საგანმანათლებლო დაწესებულებას, ხოლო არაფორმალური განათლების აღიარების მსურველთათვის 2021 წელს, განაცხადების მიღება გამოაცხადა ორმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ.
- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით, მიმდინარეობდა QMS - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პროცესის ავტომატიზაციის პროგრამული მოდულის სტრუქტურაზე მუშაობა, შემუშავდა და ტექნიკურად უზრუნველყოფილია ცენტრის ინფორმირების ფორმები.
- მიმდინარეობს სამუშაოები ფორმალური განათლების ფარგლებში აღიარებული შედეგების სისტემაში ასახვის უზრუნველსაყოფად.



უმაღლესი განათლების მიმართულება

უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრირება

- უზრუნველყოფილი იქნა ავტორიზაცია/აკრედიტაციის გადაწყვეტილებების მართვის სისტემაში ასახვა, შესაბამისად განხორციელდა ინფორმაციის განახლება/დასუფთავება საგანმანათლებლო დაწესებულებების იურიდიული პროფილებისა და მათ მიერ განხორციელებული აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ტრილში. კერძოდ, მართვის სისტემაში ასახული იქნა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 253 გადაწყვეტილება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 21 გადაწყვეტილება.
- უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებზე დაყრდნობით განსახორციელებელი პროცესების ეფექტური ადმინისტრირებისათვის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2020 წლის 19 მაისის N1.1/54 ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული ინფორმაციის მონიტორინგის წესის შესაბამისად განხორციელდა 4 გეგმიური მონიტორინგი.
- აბიტურიენტთა ინფორმირებისა და სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისათვის 2021 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების ხელშეწყობის მიზნით, მიმდინარე წლის პირველ აგვისტოს მიწოდებული იქნა ინფორმაცია 61 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 728 პროგრამის სტატუსის შესახებ;
- სისტემატურად ხორციელდება სახელმწიფო მიერ სტუდენტებისათვის განხორციელებული სხვადასხვა პროექტების ხელშეწყობა, (ID) ბარათების, სამგზავრო ბარათებისა და სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის სტუდენტური დაზღვევის ბენეფიციართა შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
- საქართველოში გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და საქართველოში მიღებული განათლების აღიარების ხელშეწყობის მიზნით, აგრეთვე სხვა დაინტერესებულ პირთა/ორგანიზაციათა მოთხოვნით, სისტემატურად მიმდინარეობს კორესპონდენციების მომზადება საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ ინფორმაციის მოძიების და დამუშავებისა და დაინტერესებული პირისთვის დასკვნის მომზადების ტრილში.
- მიმდინარეობს ახალი უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის - eUni-ს შექმნის მხარდაჭერა.



სტუდენტთა მობილობა

- მობილობით სტუდენტთა მიღების გამოცხადების მიზნით, შეიქმნა სპეციალური ელექტრონული ანკეტა-კითხვარი. მისი გამოყენებისთვის ჩაუტარდა ტრენინგი 61 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს. შესაბამისად, 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისა და დამატებით, ორი რიგგარეშე მობილობა გამოცხადდა სპეციალური ელექტრონული ანკეტა-კითხვარის მეშვეობით და მართვის სისტემამ დაადასტურა 52 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 897 უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადების უფლება.
- სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულისა და 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის პროცესის ადმინისტრირება და პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების ხელშეწყობა. კერძოდ: 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში მობილობის ელექტრონული პორტალის მომსახურებით ისარგებლა 1 851 მობილობის მსურველმა სტუდენტმა. ხოლო 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში - 3 757 სტუდენტმა.
- რიგგარეშე მობილობის პროცესის ადმინისტრირებით უზრუნველყოფილი იქნა, 156 სტუდენტის მობილობა, გამარტივებული წესით. ასევე, ამჟამად გამოცხადებულია მეორე რიგგარეშე მობილობა სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის და მათთვის დადასტურებულია 10 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 15 საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის შესაძლებლობა.

ციფრული არქივი

- განხორციელდა ავტორიზებული, აგრეთვე, ლიკვიდირებული/საქმიანობა შეწყვეტილი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის შესახებ ინფორმაციის დამუშავების და დაინტერესებული პირებისათვის მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით სპეციალური ელექტრონული პლატფორმის შექმნის ინიცირება და ინფორმაციული მხარდაჭერა. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსების შესახებ შექმნილი ციფრული არქივის ხარვეზების აღმოფხვრა და ფუნქციონალური ველების დამატება. ამასთან, უწყვეტ რეჟიმში



მიმდინარეობს საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსების შესახებ ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და საბოლოო დასკვნების მომზადება ციფრული არქივისათვის შექმნილ პლატფორმაზე განსათავსებლად.

ელექტრონული ანკეტა-კითხვარი

- აბიტურიენტთა ინფორმირებისა და 2022 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების ხელშეწყობის მიზნით, დამუშავდა და სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს მიეწოდა ინფორმაცია 52 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 818 პროგრამის თაობაზე, ჩასაბარებელი საგნების მითითებით.
- 2022 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების მიზნით, 1 დეკემბერს გაიხსნა განახლებული და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანილი ელექტრონული ანკეტა-კითხვარი, რომლითაც დაწესებულებები წარმოადგენენ 2022 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებით აბიტურიენტთა მიღებისთვის საჭირო მონაცემებს. 2022 წლის 10 იანვრამდე მართვის სისტემა უზრუნველყოფს ანკეტა-კითხვარის დადასტურებასა და დადასტურებული მონაცემების სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისთვის დახურული ქსელით (VPN) მიწოდებას.
- მაგისტრატურის საფეხურზე ჩარიცხვის მსურველთა ინფორმირებისა და სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ 2021 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩატარების ხელშეწყობის მიზნით, 2021 წლის თებერვალსა და სექტემბერში, დადასტურებული იქნა 45 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - 495 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადება და დაფინანსება

- განხორციელდა მასწავლებლის მომზადების ერთწლიან საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადებისათვის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მისაღები პროგრამების წარმოდგენის მიზნით, სპეციალური ანკეტა-კითხვარის შესაქმნელად, შესაბამისი ბიზნეს-პროცესების აღწერა და პროგრამული უზრუნველყოფის სამსახურისათვის წარდგენა;
- უზრუნველყოფილი იქნა 2020-2021 სასწავლო წლისათვის 19 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დადასტურება და დაფინანსების



მინიჭების ხელშეწყობის მიზნით, დამუშავდა აღნიშნულ პროგრამებზე 1427 ჩარიცხული პირის მონაცემი.

უმაღლესი განათლების დაფინანსების ადმინისტრირება

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა მიერ მოპოვებული სახელმწიფო დაფინანსების ადმინისტრირების პროცესის ავტომატიზაციის მიზნით, შეიქმნა და დაინერგა სპეციალური ელექტრონული პროგრამა, სადაც განთავსდა სწავლების პირველ საფეხურზე სტუდენტთა დაფინანსების ისტორია, აწყო დაფინანსების ავტომატური გაანგარიშების ალგორითმი, დაწესებულებებს მიეცათ გაანგარიშებულ მონაცემებსა და დასაფინანსებელ სტუდენტთა სახელობით სიებზე წვდომისა და კორექტირების მოთხოვნის უფლება. გადასარიცხი თანხების სამინისტროსათვის წარდგენამდე, განხილული და საჭიროების შემთხვევაში, გათვალისწინებული იქნა დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი აპელაციები. შესაბამისად, სამინისტროს მიეწოდა მაქსიმალური სიზუსტით გაანგარიშებული თანხები, კერძოდ 2020-2021 სასწავლო წლის მე-2 სემესტრის დაფინანსების უზრუნველსაყოფად, 2021 წლის 1 აპრილის მდგომარეობით გაანგარიშდა და სამინისტროს მიეწოდა ინფორმაცია აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე 24 978 977.5 ლარის ოდენობით თანხის გადარიცხვის თაობაზე, კერძოდ:
 - ✓ ოკუპირებული-აფხაზეთის და ცხინვალის ტერიტორიაზე ცხოვრების მიხედვით დაფინანსებულ სტუდენტთა სემესტრული თანხა-398250 ლარი
 - ✓ ოკუპირებული - განათლების აღიარების მიხედვით დაფინანსებულ სტუდენტთა სემესტრული თანხა-19100 ლარი
 - ✓ თანამემამულის სტატუსის მქონე დაფინანსებულ სტუდენტთა სემესტრული თანხა-50625 ლარი
 - ✓ სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსებულ სტუდენტთა სემესტრული თანხა-19519427.5 ლარი
 - ✓ სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტი: დაფინანსებულ სტუდენტთა სემესტრული თანხა-4866950 ლარი
 - ✓ უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სპეციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსებულ სტუდენტთა სემესტრული თანხა-124625 ლარი.
- 2021-2022 სასწავლო წლის პირველი სემესტრის დაფინანსების უზრუნველსაყოფად, 2021 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით გაანგარიშდა და სამინისტროს მიეწოდა ინფორმაცია აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე 24 209 557.5 ლარის ოდენობით თანხის გადარიცხვის თაობაზე, კერძოდ :



- ✓ ოკუპირებული-აფხაზეთის და ცხინვალის ტერიტორიაზე ცხოვრების მიხედვით - სემესტრული თანხა 360750 ლარი ;
 - ✓ ოკუპირებული - განათლების აღიარების მიხედვით - სემესტრული თანხა 12375 ლარი;
 - ✓ თანამემამულის სტატუსის მქონე - სემესტრული თანხა-50625 ლარი;
 - ✓ სახელმწიფო სასწავლო გრანტი სემესტრული თანხა-19950970 ლარი;
 - ✓ სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტი -სემესტრული თანხა-3429225 ლარი;
 - ✓ უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სპეციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტი - სემესტრული თანხა-94225 ლარი.
- მაგისტრატურის საფეხურზე 2021-20222 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სახელმწიფო დაფინანსების გადარიცხვის მიზნით დამუშავდა და სამინისტროს ინფორმაცია მიეწოდა 2,048,850 ლარის გადარიცხვის თაობაზე, კერძოდ:
- ✓ სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი სემესტრული თანხა-1814250 ლარი;
 - ✓ სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი სემესტრული თანხა-196350 ლარი;
 - ✓ უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სპეციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი სემესტრული თანხა-18000 ლარი;
 - ✓ ოკუპირებული-აფხაზეთის და ცხინვალის ტერიტორიაზე ცხოვრების მიხედვით - სემესტრული თანხა-20250 ლარი.
- პრიორიტეტული პროგრამული დაფინანსების ფარგლებში, სტუდენტთა სახელმწიფო დაფინანსების ადმინისტრირების პროცესის ავტომატიზაციის მიზნით შეიქმნა და დაინერგა სპეციალური ელექტრონული პროგრამის შესაბამისი მოდული, სადაც განთავსდა პრიორიტეტული დაფინანსების ფარგლებში, სტუდენტთა დაფინანსების ისტორია, აწყო დაფინანსების ავტომატური გაანგარიშების ალგორითმი, დაწესებულებებს მიეცათ საშუალება დასაფინანსებელ სტუდენტთა სახელობითი სიების ფორმირება უზრუნველყონ პროგრამაში ელექტრონულად, სტუდენტის წინმსწრები დაფინანსების ისტორიის გათვალისწინებით. შესაბამისად, სამინისტროს მიეწოდა მაქსიმალური სიზუსტით გაანგარიშებული თანხები, კერძოდ, 2020-2021 საწავლო წლის მე-2 სემესტრის დაფინანსების უზრუნველსაყოფად, 2021 წლის 1 აპრილის მდგომარეობით გაანგარიშდა და სამინისტროს მიეწოდა ინფორმაცია 19451 სტუდენტის სწავლის საფასურის - 19 933 850 ლარის ოდენობით დაფინანსების გადარიცხვის თაობაზე. 2021 წლის ბოლომდე კი, დაანგარიშდება 2021-2022 სასწავლოს წლის პირველ სემესტრში გადასარიცხი თანხის ოდენობა, დაახლოებით 20 000 000 ლარის ფარგლებში.



- განხორციელდა სახელმწიფო გრანტისა და სახელმწიფო დაფინანსების გაანგარიშების მიზნით, სპეციალური ელექტრონული სისტემების განახლება, არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და ახალი ფუნქციონალური ველების დამატება;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების უფლება მინიჭებულ პირთათვის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭების ხელშეწყობის მიზნით დამუშავებული იქნა ინფორმაცია, მათ მიერ გამოყენებული სახელმწიფო სასწავლო და სახელმწიფო სამაგისტრო (მათ შორის, სოციალური პროგრამის ფარგლებში) გრანტის ტრილში, სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისა და სამინისტროსთვის წარსადგენად.
- სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ 2021 წლის საგრანტო კონკურსის შედეგად, კონკურსში მონაწილე პირებისათვის სახელმწიფო გრანტის მინიჭების/გაუმჯობესების მიზნით, დამუშავდა და სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს მიეწოდა ინფორმაცია ამ პირების მიერ მოპოვებული და გამოყენებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის, ასევე იმ საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე, რომელზეც ირიცხებიან კონკურსში მონაწილე პირები.

სტატისტიკის მიმართულება

საქართველოს განათლების სისტემაში საგანმანათლებლო სტატისტიკის წარმოებისა და გავრცელების მიმართულებით განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების **ვაუჩერული დაფინანსების** უზრუნველსაყოფად დამუშავდა შესაბამისი მონაცემები და დადგენილი წესის შესაბამისად ინფორმაცია მიეწოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.
- საჯარო სკოლების პედაგოგებისათვის, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით დადგენილი **სტატუსის დანამატის ოდენობების** განსაზღვრის მიზნით, ყოველთვიურად მუშავდებოდა მონაცემები და ინფორმაცია მიეწოდებოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, დადგენილი წესის შესაბამისად.



- ❖ საჯარო სკოლების **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების დაფინანსებისთვის** საჭირო მონაცემები მუშავდებოდა ყოველთვიურად და მიეწოდებოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, დადგენილი წესის შესაბამისად.
- ❖ დადგენილი ვადების შესაბამისად მიმდინარეობდა განათლების სფეროში **სახელმწიფო სოციალური პროგრამების ბენეფიციართა მონაცემების** განახლება და შესაბამისი სტრუქტურებისთვის მიწოდება.
- ❖ განათლების სისტემაში სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობის და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ხელშეწყობისათვის მოქმედებდა მონაცემთა ანგარიშგებისა და ვიზუალიზაციის სისტემა - QlickSense, რაც უზრუნველყოფდა ბოგადსაგანმანათლებლო სკოლების სრულ, მათ შორის დისტანციური სწავლების და ასევე პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამების ანალიტიკურ მონაცემებს. 2021 წელს ამ სისტემის მეშვეობით წარმოჩინდა ასევე უმაღლესი განათლების **საგრანტო დაფინანსების მონაცემები**.
- ❖ მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის 2021 წლის პროგრამის ფარგლებში, შეფასდა **2021-22 სასწავლო წლისთვის ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობა**, არსებული მონაცემების საფუძველზე შეფასდა საჯარო სკოლებში საჭირო **სახელმძღვანელების სავარაუდო რაოდენობა** კლასების მიხედვით. ასევე მომზადდა 2022-2023 სასწავლო წლისთვის საჯარო სკოლების მოსწავლეთა სავარაუდო რაოდენობის **პროგნოზული მარკენებლები**.
- ❖ განათლების სისტემაში ანალიტიკური კომპონენტის გაძლიერების მიზნით, გრძელდებოდა მუშაობა სივრცითი ანალიზის კომპლექსურ ინსტრუმენტებზე და განათლების სისტემის ერთიანი გეოსაინფორმაციო სისტემის (GIS) ფორმირებაზე, სკოლების მეფინგის (mapping) ამოცანებზე და თემატური რუკების შექმნაზე, რაც უზრუნველყოფს სივრცითი და ინფრასტრუქტურული გადაწყვეტილებების ინფორმაციულ მხარდაჭერას და მოდელირებას. სისტემა ხელს უწყობს დისტანციური სწავლების მიმდინარეობისა და ხარისხიანი ინტერნეტის ხელმისაწვდომობის ანალიზის პროცესს.



- 🔴 გეგმიურად და მოთხოვნების შესაბამისად მუშავდებოდა და მიეწოდებოდა ყველა დაინტერესებულ პირს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სტატისტიკური მონაცემები.
- 🔴 მოთხოვნებისა და საჭიროების შესაბამისად მუშავდებოდა და მიეწოდებოდა შესაბამისი ინფორმაცია სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალ ერთეულებს, ასევე სხვა დაინტერესებულ პირებს.
- 🔴 „მსოფლიო ბანკის პროექტის - „ინოვაცია, ინკლუზია და ხარისხი“ (I2Q) ფარგლებში, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზების ინტეგრაციისა და ანალიტიკური სისტემების შეფასების მხარდაჭერის მიზნით შექმნილ დროებით სამუშაო ჯგუფში ჩართულობა და სტატისტიკის წარმოების ამოცანების და გამოწვევების იდენტიფიცირება.

ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოების მიმართულება

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფს ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოების პოლიტიკის გატარებას, რაც განსაკუთრებით აქტუალურია დისტანციურ ელექტრონულ სერვისებზე გაზრდილი მოთხოვნის პირობებში. ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების მიმართულებით განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- 🔴 შემუშავდა და დამტკიცდა რამდენიმე სამართლებრივი დოკუმენტი, კერძოდ:
 - ✓ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ინფორმაციული ტექნოლოგიების პროცესების ცვლილებების მართვის წესი;
 - ✓ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ვებ აპლიკაციის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი;
 - ✓ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონული სერვისებისა და მოწყობილობების მოხმარების პოლიტიკის დოკუმენტი.
- ✓ ასევე შემუშავდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის „ვებ აპლიკაციის უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტის“ დოკუმენტის პროექტი და წარედგინა სამინისტროს.
- ✓ განხორციელდა „სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მოპოვებისათვის განცხადების



ელექტრონული რეგისტრაციისა და განხილვის წესში“ ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით შესაბამისი რეგულაციების ასახვა.

- ✓ განხორციელდა „ავტორიზებული და ლიკვიდირებული/საქმიანობაშენწყვეტილი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სპეციალური ელექტრონული პროგრამის შექმნისა და ადმინისტრირების წესში“ ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ ნორმების ასახვა.
- 🔴 განხორციელდა მართვის სისტემის ქსელის, სერვერების და სერვისების მოწყვლადობის ინფორმაციული უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შემოწმება (Rapid7-ით).
- 🔴 ხორციელდებოდა განათლების სისტემის ელექტრონული ფოსტის მისამართებზე ინფორმაციული უსაფრთხოების ზომების დაცვა და ცალკეულ მისამართებზე შემოსული ფიშინგის მეილებზე შესაბამისი რეაგირება (მომხმარებელთა ინფორმირება და კომპრომიტირებული ანგარიშების აღდგენა).
- 🔴 შემუშავდა პირველკლასელთა რეგისტრაციის გაყალბებისგან დაცვის გადაწყვეტილება და განხორციელდა რეალურ გარემოში იმპლემენტაცია.
- 🔴 „მსოფლიო ბანკის პროექტის - „ინოვაცია, ინკლუზია და ხარისხი“ (I2Q) ფარგლებში, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ინტეგრაციისა და ანალიტიკური სისტემების შეფასების მხარდაჭერის მიზნით შექმნილ დროებით სამუშაო ჯგუფში ჩართულობა და შექმნილ დოკუმენტში კომპეტენციის ფარგლებში რეკომენდაციების გაცემა;
- 🔴 განხორციელდა მართვის სისტემის ინფორმაციული სისტემის აღწერა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოსთვის მიწოდება.
- 🔴 ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის პოპულარიზაციის მიზნით, განხორციელდა რამდენიმე აქტივობა:
 - ✓ ჩატარდა ვებინარი კიბერჰიგიენასთან დაკავშირებით „მოხალისე პედაგოგთა ჯგუფისთვის“ (მასწავლებლებისთვის)
 - ✓ „განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო - ზოგადი განათლების რეფორმა“ ფეისბუქ გვერდისთვის ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით დამზადდა საგანმანათლებლო ვიდეორგოლი.
- 🔴 განხორციელდა განათლების ერთიან ქსელში ჩართული მოწყობილობების მოწყვლადობის კონტროლის და კომპიუტერული სისტემების სკანირების ხელსაწყო - Rapid7 InsightVM-ის და პროგრამული



უზრუნველყოფების, ვებ აპლიკაციების სკანირების ხელსაწყო - Rapid7 InsightAppSec შექმნა და განათლების ერთიან ქსელში დანერგვა;

კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების მიმართლება

2021 წლის მანძილზე, ქვეყანაში პანდემიასთან დაკავშირებული გამოწვევების დასაძლევად განსაკუთრებით აქტუალური იყო განათლების სისტემისთვის IT მიმართულებით განსახორციელებელი პროექტები. საქართველოს განათლების სისტემაში ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებისა და სასწავლო პროცესში მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

- ერთიერთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ქალაქ თბილისის მერიის აპარატურის განთავსება კოლოკაციანზე, როგორც ძირითად, ასევე სათადარიგო მონაცემთა ცენტრში.
- მონაცემთა ცენტრების მხარდაჭერის სამუშაოები, მათ შორის: ცენტრალიზებული მენეჯმენტისა და მონიტორინგის სისტემის დანერგვა, ახალი სასერვერო კარადების, გაგრილების, სახანძრო სისტემების და უწყვეტი კვების წყაროების ინსტალაცია, მხარდაჭერა და განახლება. გამოთვლით და მონაცემთა სანახ სისტემებზე გაზრდილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად განახლდა და გაიზარდა კრიტიკული სერვერული ინფრასტრუქტურის სიმძლავრეები, სრულად განახლდა არსებული ვირტუალიზაციის გარემოც. შესაბამისად, უზრუნველყოფილია მონაცემთა ცენტრში განთავსებული ინფორმაციისა და სერვისების უწყვეტად მიწოდების და უსაფრთხოების უფრო მაღალი გარანტიები.
- გაეშვა ახალი სერვისები, როგორცაა ელექტრონული ჟურნალი, online.emis.ge, mobile.emis.ge და catalog.edu.ge პორტალები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება პანდემიის პერიოდში.
- დაინერგა შიდა სერვისებთან წვდომის ახალი, გამარტივებული და უსაფრთხო მეთოდი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს განათლების სისტემის ყველა თანამშრომელს საკუთარი ელ.



ფოსტის მისამართის გამოყენებით გაიარონ ავტორიზაცია და დაამყარონ წვდომა მათთვის წინასწარ განსაზღვრულ შიდა სერვისებზე, მაგ: eFlow, eSchool.

- ავტომატიზირდა და მოხდა ისეთი მნიშვნელოვანი პროცესების ოპტიმიზაცია, როგორცაა ელექტრონული ჟურნალის სინქრონიზაცია, მონაცემთა ბაზების ოპტიმიზაცია და სარეზერვო ასლების ახალი მეთოდით შექმნა და მონიტორინგი.
- რადიკალურად გაზრდილ დატვირთვასა და ქსელურ მოთხოვნასთან გასამკლავებლად ჩატარდა რიგი სამუშაოები, კერძოდ: გაორმაგდა და გაიზარდა ლოკალური და გლობალური ინტერნეტ შეერთებების სიჩქარეები 5-დან 10 გბ/წმ-მდე, შეიცვალა ინტერნეტ სერვის პროვაიდერი (სკაიტელიდან მაგთიკომზე), სრულად განახლდა მონაცემთა ცენტრებს შორის კავშირის 10 გბ/წმ-იანი ქსელური ინფრასტრუქტურა 40 გბ/წმ-მდე და კავშირის საერთო სიჩქარე გაიზარდა 200 გბ/წმ-მდე, განახლდა ქსელური როუტერი სამინისტროში, აგრეთვე VPN კავშირის ფაირვოლები.
- სკოლებში გაზრდილი ინტერნეტ სიჩქარის, საგამოცდო პროცესისა და მოსწავლეთა ბუკების მხარდაჭერის ფარგლებში განახლდა 150-მდე როუტერი და გაიმართა შესაბამისი სპეციალიზირებული WiFi ქსელები.
- განათლების სისტემის სატელეფონო სერვისების ხარისხის ამაღლების მიზნით ჩატარდა ქოლცენტრის, ბილინგისა და ტელეფონიის სისტემების განახლება და ოპტიმიზირდა მხარდაჭერის პროცესი.
- Microsoft 365 სერვისების უწყვეტი მიწოდების ფარგლებში მთელი წლის მანძილზე მიმდინარეობდა მხარდაჭერის პროცესი, მათ შორის: Microsoft Teams-ში კლასების სინქრონიზაციის პროცესის უზრუნველყოფა, პირველკლასელთა ბუკების რეგისტრაცია და მენეჯმენტი, Minecraft-ის ტრენინგების ტექნიკური მხარდაჭერა, Microsoft Azure ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა.
- ტექნიკური მხარდაჭერის მიმართულებით, მთელი წლის განმავლობაში უწყვეტად მიმდინარეობდა - ცენტრალიზებული გამოცდების ორგანიზება და მხარდაჭერა საქართველოს მასშტაბით საჯარო სკოლებში, პორფესიულ დაწესებულებებსა და



უნივერსიტეტებში; სამინისტროს, მისი სსიპ-ებისა და საჯარო სკოლების IT სპეციალისტების, ქსელური და სისტემური ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა უწყვეტად, როგორც ფიზიკურად, ასევე დისტანციური სახით.

სხვადასხვა სამუშაო პროცესები

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ 2021 წლის მანძილზე მიმდინარეობდა დებულებითა და მოქმედი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სხვა უფლება-მოვალეობების რეგულარული შესრულება, მათ შორის ხორციელდებოდა:

- სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის, სამინისტროს მიერ დადგენილი წესით რეგისტრაციაში გატარება.
- იმ პირთა აღრიცხვა, რომლებსაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის ან/და კანონმდებლობის საფუძველზე ჩამოერთვათ პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება.
- საჯარო სკოლის დირექტორის, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში – მისი მოვალეობის შემსრულებელი მოადგილის, ხოლო მოადგილის თანამდებობის არარსებობის შემთხვევაში – სკოლის სხვა თანამშრომლის რეგისტრაცია და შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივ-ადმინისტრაციული აქტების გამოცემა.
- 6 წლიანი უფლებამოსილების ამოწურვის გამო, საჯარო სკოლის დირექტორთა უფლებამოსილების შეწყვეტის, სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, რეგისტრაციაში გატარება და შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივ-ადმინისტრაციული აქტების გამოცემა.
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, სამეურვეო საბჭოს წევრების უფლებამოსილებისა და მათი



უფლებამოსილების შეწყვეტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, ელექტრონულად რეგისტრაციაში გატარება.

კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ ერთეულებში, ასევე აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროსა და მათ სისტემაში შემავალ ორგანოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და კვალიფიციული ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის დანერგვის/ადმინისტრირების მხარდაჭერა, კერძოდ:

- ✓ სისტემატიურად მიმდინარეობდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (eFlow) ჩართული დაწესებულებების მოთხოვნების საფუძველზე, მათი სტრუქტურული ცვლილებების ასახვა სისტემაში (ახალი თანამშრომლების რეგისტრაცია, გათავისუფლებული თანამშრომლების რეგისტრაციიდან მოხსნა, თნამდებობების ცვლილება, დოკუმენტებზე წვდომის უზრუნველყოფა, შესაბამისი ხედვების უზრუნველყოფა და ა.შ.).
- ✓ სისტემის ფუნქციონირების პროცესში გამოვლენილი ტექნიკური ხარვეზების იდენტიფიცირება და მართვა.
- ✓ განათლების სისტემაში ავტომატიზირებული საქმისწარმოების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში, დოკუმენტბრუნვის ერთიანი ელექტრონული სისტემა (eFlow) დაინერგვის მიზნით, განხორციელდა გარკვეული სამუშაოები სსიპ საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიასთან და სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან.
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროების განცალკევების პროცესის შესაბამისად, შევიდა შესაბამისი ცვლილებები დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემაში და ჩატარდა სხვა ტექნიკური სამუშაოები.

მართვის სისტემაში მოქმედი ორი ტიპის ოფიციალური სატელეფონო ცხელი ხაზი, რომლებიც პანდემიის პირობებში, ელექტრონულ სერვისებზე გაზრდილი მოთხოვნების შესაბამისად განსაკუთრებული დატვირთვით მუშაობდა:

- მართვის სისტემის ცხელი ხაზი - (2-200220), რომელიც უზრუნველყოფს მართვის სისტემის კომპეტენციას მიკუთვნებულ



სამუშაო პროცესებზე დაინტერესებული პირებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას, ასევე მართვის სისტემის მიერ ადმინისტრირებული ელექტრონული სისტემების/სერვისების გამოყენებასთან/მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე სატელეფონო - ტექნიკური დახმარების გაწევას.

- მართვის სისტემაში მოქმედი ტექნიკური ცხელი ხაზი - (2-220200), რომლის კომპეტენციას წარმოადგენს ტექნიკური შინაარსის პრობლემებთან დაკავშირებით, განათლების სისტემაში ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფილის პერსონალისთვის კომპეტენტური სატელეფონო დახმარების გაწევა.

- 🌈 საქართველოს განათლების სისტემაში მართვის საინფორმაციო სისტემების განვითარების ფარგლებში, მართვის სისტემა ახორციელებდა საქართველოს განათლების სისტემაში არსებული ელექტრონული მონაცემების შეგროვების, შენახვის და ადმინისტრირების უზრუნველყოფას, მათ შორის ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემების შექმნას, მოდიფიცირებას, დანერგვასა და ადმინისტრირებას. ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიმართულებით პროცესების ავტომატიზაციის ფარგლებში, შემუშავდა და მოქმედი კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მოდიფიცირდა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ადმინისტრირებადი ელექტრონული სისტემები/სერვისები.